

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სალიტერატურო ენის
საკითხები
IV**

ედღვნება პროფესორ შუქია აფრიდონიძის
ხსოვნას

2023 წლის 21-22 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2023

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 202-ე აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1).

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

პროგრამა

21 აპრილი, 11 საათი

თავმჯდომარე – **ნ. მაჭავარიანი**

შესავალი სიტყვა – ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მისალმებები და მოგონებები

გ ი ო რ გ ი ა ლ ი ბ ე გ ა შ ვ ი ლ ი – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ნ ი ნ ო დ ო ბ ო რ ჯ გ ი ნ ი ძ ე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის უფროსი

რ ა მ ა ზ ქ უ რ დ ა ძ ე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი

მოხსენებები

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო მოღვაწეობა

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, შუქია აფრიდონიძის „ჩვენი ენა ქართული“

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, შუქია აფრიდონიძე და „ქურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“

ს ა ლ ო ძ ე ო მ ი ა ძ ე, კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო შრომებში

თეა ბურჭულაძე, შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“

ვახტანგ მაღრაძე, შუქია აფრიდონიძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

მაკა ლაზარტყავა, შუქია აფრიდონიძე და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“

თეა ტეტელოშვილი, შუქია აფრიდონიძე – სასკოლო ლექსიკონთა დანართების ავტორი

თინათინ მარგალიტაძე, შუქია აფრიდონიძის წვლილი ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში

თამარ ვაშაკიძე, შუქია აფრიდონიძე – მთარგმნელი

22 აპრილი, 11 საათი

თავმჯდომარე – **თ. ვაშაკიძე**

მარინა ბერიძე, სოფიო კობიაშვილი, ეთერ ჭურაძე, გეოგრაფიულ ობიექტთა საგზაო წარწერების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის მდგომარეობის კვლევა

თინათინ ბოლქვაძე, როგორ ვმართოთ საკუთარი სახელები

თეიმურაზ გვანცელაძე, აბაზური სამწიგნობრო ენის შექმნის ისტორიიდან

გიორგი გოგოლაშვილი, იქნეს/იქნას ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ

რუსუდან ზექალაშვილი, ერთი დარღვევის შესახებ ჟურნალისტების მეტყველებაში (არცერთი/ვერცერთი)

მაკა თეთრაძე, „მარტივი ენის“ შესახებ

მარიამ ორკოდაშვილი, ხელოვნური ინტელექტის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისათვის ქართულსა და ინგლისურში

მედეა ღლონტი, ქართული ვერბალური ეტიკეტის მასაზრდოებელი ფაქტორისათვის

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ლექსიკურ აქტივობათა პრაგმატული
ბუნებისათვის

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა, -ემ სუფიქსიანი სიტყვაწარმოებისათვის
სალიტერატურო ქართულში

სტუდენტთა სექცია

წიგნების წარდგენა

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი – ფრაზეოლოგიური გამოთქმები
აზერბაიჯანულში ქართულთან მიმართებით

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – ოპოზიციურ წყვილთა ლექსიკონი

ს ა ნ დ რ ო ჩ ე მ ი ნ ა ვ ა – დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი
კომედია (ჯოჯოხეთი)“ – ახალი თარგმანი

მარინა ბერიძე, სოფიო კობიაშვილი,
ეთერ ჭურაძე

**გეოგრაფიულ ობიექტთა საგზაო წარწერების
მართლწერისა და ტრანსლიტერაციის
მდგომარეობის კვლევა**

2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამაში (სტრატეგიაში) განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სახელების მართვას, როგორც ენის ფუნქციონირების სწორი ადმინისტრირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. მიზნის შესაბამისად, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა შეისწავლა მუნიციპალური ორგანოებიდან მოწოდებული რამდენიმე რეგიონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული გეოგრაფიული პუნქტებისა და ობიექტების (სოფლის, დაბის, სხვა დასახლებული პუნქტის, მდინარის, ხევის, კანიონის, სამონასტრო კომპლექსის, ნაკრძალისა და სხვ.) აღმნიშვნელი საგზაო წარწერების ქართული და უცხოენოვანი ტექსტები (სულ 2619 სახელწოდება).

გეოგრაფიული ობიექტების არსებული სახელწოდებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა გამოიყენა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ლექსიკონები და ენციკლოპედიური ლიტერატურა. ამასთან, არასრული მონაცემების შესავსებად კვლევისას გამოყენებული იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისთვის) მოწოდებული, 2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მონაცემებზე, ოფიციალურ კარტოგრაფიულ და საცნობარო გამოცემებზე, სამთავრობო დადგენილებებზე, წერილობით საისტორიო და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა გეოგრაფიული სახელების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის დარღვევის ტიპური შემთხვევები: 1) დარღვეულია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების ისტორიული ფორმა ან წარმოდგენილია მცდარი ფონეტიკური ვარიანტით; 2) უმართებულოდაა გათვალისწინებული მსაზღვრელ-საზღვრულით გადმოცემული გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება.

ბის დაწერილობა: ცალკე მდგომი მსაზღვრელ-საზღვრული შერწყმულადაა წარმოდგენილი ან – პირიქით, ცალ-ცალკეა დაწერილი ისეთი მსაზღვრელსაზღვრულიანი დასახელება, რომელიც კომპოზიტადაა ქცეული და ლექსიკონებში შერწყმული დაწერილობით არის გათვალისწინებული, ან მსაზღვრელი წარმოდგენილია სინონიმური ლექსიკური ერთეულით; 3) გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება ნათესაობით ბრუნვაში მცდარი ფორმითაა დადასტურებული: არ იკვეცება იმ სახის ხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც, როგორც წესი, კვეცადნი არიან, ან კიდევ – შეუკუმშავადაა წარმოდგენილი ისეთი ტიპის თანხმოვანფუძიანი სახელები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ფუძე ეკუმშებათ; 4) მცდარია გეოგრაფიული ობიექტების ინგლისურენოვანი დაწერილობა, კერძოდ, არ ეთანხმება ქართულიდან ინგლისურად გადატანის იმ წესებს, რომლებიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაადგინა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა მეცნიერ ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავა გეოგრაფიულ ობიექტთა მართლწერის რეკომენდაციები და წარმოადგინა კონკრეტულ სახელწოდებათა მართებული ფორმები, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა ლექსიკონებსა და ტოპოგრაფიულ რუკებში გათვალისწინებულ ერთეულებს.

იგეგმება (ამ რეკომენდაციების საფუძველზე) სათანადო ცვლილების შეტანა მუნიციპალიტეტებსა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზებში გეოგრაფიულ სახელთა სწორი ფორმების დასამკვიდრებლად. რეკომენდაციათა ერთი ნაწილის საფუძველზე ცვლილებები განხორციელდება გეოგრაფიულ სახელთა განახლებულ ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც.

თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე

როგორ ვმართოთ საკუთარი სახელები

საკუთარი სახელების მართვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და საცნობარო ტექსტებში ძალიან პრობლემური გახდა. ძირითადი პრობლემების სია ასე გამოიყურება:

- 1) თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმების სახელობითი ბრუნვის ფორმის საკითხი გვართან ერთად გამოყენების დროს;
- 2) არაქართული სახელებისა და გვარების სახელობითი ბრუნვის ფორმით ჩაწერასთან დაკავშირებული საკითხები;
- 3) ქართული გეოგრაფიული სახელების დაწერილობა ქართულად და მათი ინგლისურ ენაზე ტრანსლიტერაციის საკითხი;
- 4) მეგრული და სვანური გეოგრაფიული სახელების დაწერილობა საცნობარო ტექსტებსა და აბრეზებზე;
- 5) სხვადასხვა სახის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უცხოურენოვანი სახელების ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებული საკითხები.

აქ ჩამოთვლილი პრობლემები, რომელთა სია შეიძლება სრული არც იყოს, უკავშირდება ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს: „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციას“, განსაკუთრებით მის მე-10 მუხლს და საქართველოს კანონს რეკლამის შესახებ, განსაკუთრებით მის მე-4 მუხლს.

მოხსენებაში განხილული იქნება ის ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც აბრკოლებენ საკუთარ სახელთა მართვას ოფიციალურ დოკუმენტებსა და საცნობარო ტექსტებში.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“

მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“ პროფ. შუქია აფრიდონიძის ერთ-ერთი გამორჩეული კვლევაა. ნაშრომი წარმოადგენს ნარკვევს სიტყვათგანლაგების შესახებ, რომელიც ქართული ენის სინტაქსისა და სტილისტიკის აქტუალურ საკითხებს ეხება. ამ თვალსაზრისით მასში საგანგებოდაა შესწავლილი მარტი-

ვი წინადადება ახალ ქართულში – XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის ჩათვლით. მასალად ძირითადად გამოყენებულია აღნიშნული პერიოდის ქართველ კლასიკოსთა პროზაული ნაწარმოებები, ნაწილობრივ – ორიგინალური სამეცნიერო და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე – ზეპირი მეტყველების ნიმუშები. ნაშრომს ერთვის სათანადო სიხშირული ცხრილები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში უხვი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია სიტყვათგანლაგების ფუნქციური დახასიათება, შესწავლილია წინადადების წევრთა პოზიციები ახალი ქართულის მარტივ წინადადებაში – დამოუკიდებლად (მათი ადგილის მიხედვით) და სხვა წევრებთან მიმართებით. ნაშრომში ასევე გამოვლენილია სიტყვათგანლაგების ბუნებრივი, ნაკლებბუნებრივი თუ პრაქტიკულად გამოუყენებელი ვარიანტები, ამა თუ იმ წყობის (პირდაპირის, ინვერსიულის) ხელშემწყობი ფაქტორები. გარდა ამისა, მასში გათვალისწინებულია წინადადების წევრთა თანამიმდევრობის ზოგიერთი შეზღუდვა და მათი წარმომშობი პირობები, რისთვისაც საგანგებოდაა მოხმობილი ძველი ქართულის მონაცემებიც.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია სხვა არაერთი საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სიტყვათგანლაგებას (წინადადების წონასწორობა, პაუზისწინა სიტყვის მარცვალთრაოდენობა და სხვ.). კვლევა მეტად ფასეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ენის განვითარების ბუნებრივი ტენდენციების შესასწავლად გათვალისწინებულია დიალექტური მასალა – როგორც დიალოგური, ისე მონოლოგური მეტყველების ნიმუშები.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

აბაზური სამწიგნობრო ენის შექმნის ისტორიიდან

აბაზურ მეტყველებას სხვადასხვა დროს მეცნიერები სხვადასხვა ლინგვისტურ სტატუსს ანიჭებდნენ: ზოგის აზრით, აშხარული და ტაპანთური მეტყველებანი დიალექტები იყო აფხაზური (აფხა-

ზურ-აბაზური) ენისა (კარლ ბოუდა, ქეთევან ლომთათიძე...), სხვები კი დამოუკიდებელ ენად მიიჩნევენ. ამჟამად – იმის გამო, რომ ოფიციალურად აბაზები დამოუკიდებელ ეთნოსად მიიჩნევა, მათ მეტყველებასაც ცალკე ენად მოიხსენიებენ, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა **თავს ვალდებულად მიიჩნევს**, დასძინოს, რომ აბაზური ყველა ენობრივ დონეზე იმდენად ახლოსაა აფხაზურთან, რომ აფხაზური და აბაზური პრაქტიკულად ერთ ენას წარმოადგენს.

აბაზურს დამწერლობა არ ჰქონია მე-19 საუკუნის მიწურულამდე, როცა **უმარ მიქეროვმა** არაბული ანბანის აჯამის ვარიანტზე შექმნა დამწერლობა, თუმცა მას პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია.

საბჭოთა კავშირში, რომელსაც ამერიკელი მკვლევარი **რონალდ გრიგორ სიუნი** (Ronald Grigor Suny) „**ხალხთა ინკუბატორს**“ უწოდებს, 20-30-იან წლებში ზოგჯერ საფუძვლიანად და ზოგჯერ უსაფუძვლოდ შეიქმნა უამრავი ახალი ეთნოსი და დამწერლობანი მათი ენებისათვის. ამ „ინკუბატორში“ „წიწილების გამოჩევის“ პროცესს განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ჰქონდა კავკასიაში და მას არც აბაზებისა და მათი სამეტყველო ერთეულებისათვის აუქცევია გვერდი. **დამწერლობათა შექმნის პოლიტიკურ აქციას** საერთო დირექტიულ-მაკონტროლებელ ხელმძღვანელობას **საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება** უწევდა, მოქმედებდა აგრეთვე მაღალი ეშელონის ინსტიტუციებიც: **სსრკ ცაკის ეროვნებათა საბჭოსთან არსებული ახალი თურქული ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი** (სიტყვა „თურქული“ 30-იანი წლების დასაწყისში ამოღებულ იქნა დასახელებიდან), **სსრკ უმაღლესი საბჭოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისა და დამწერლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** და ნ. იაკოვლევის ინიციატივით 1924 წელს დაარსებული **სსრკ აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და ეთნიკური კულტურის შემსწავლელი კომიტეტი**.

ახლახან მკვლევარმა **სოფიკო ჭაავამ** გადმოგვცა მის მიერ არქივში მიკვლეული რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია აბაზურისათვის ლათინოზებელი დამწერლობის შექმნისა და დახვეწის პროცესის ამსახველი სამუშაოები. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა 1932 წლის 27 სექტემბერს ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტის **სამეცნიერო საბჭოს** მიერ აბაზური საკითხისადმი მიძღვნილი საგანგებო თათბირის ოქმი. ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგ ცნობას ამ ოქმიდან:

თათბირის სამეცნიერო საბჭოს წევრთაგან დასწრებიან: საბჭოს სწავლული მდივანი **კონსტანტინ ალავერდოვი** (ეროვნებით ასირიელი), კავკასიოლოგები **ნიკოლაი იაკოვლევი** და **ლევ ჟირკოვი**, აგრეთვე – **რიაზოვი**, **პაშკოვი**, **იუმანკულოვი**. ახალი ანბანის **ჩრდილოეთ კავკასიის კომიტეტის წარმომადგენლად ყოფილა გიორგი სერდიუჩენკო**, ხოლო **აბაზურ მხარეს** წარმომადგენდნენ აბაზა განმანათლებელი და აბაზური ლიტერატურის ფუძემდებელი **თათლუსთან თაბულოვი**, **იზოვი** (თუ არ ვცდებით, მასწავლებელი იყო) და გერმანისტი პროფ. **როზალია შორი**.

მომხსენებელ **გ. სერდიუჩენკოს** აღუნიშნავს, რომ ამ დრომდე აბაზები სწავლობდნენ და წერდნენ ჩერქეზულად, რომელიც არ არის მათი დედაენა. 1930-1931 წლებში აბაზურ სოფლებში ორივე დიალექტის გამოსაკვლევად უმუშავია ექსპედიციას, რომელსაც ჩერქეზთა ავტონომიური ოლქის აღმასკომისათვის წარუდგენია დასკვნა, რომ **აბაზების ენაზე სრულიად შესაძლებელია პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების დონისძიებების გამართვა (sic!), აგრეთვე სწავლება** (საყურადღებოა არგუმენტთა იერარქია!), ხოლო **ენა სრულიად დამოუკიდებელია** (და ეს ორმა ექსპედიციამ „დაადგინა“!). მომხსენებლის სიტყვით, ნაბეჭდ გამოხმაურებებში გამოთქმულა სამი მოსაზრება აბაზებისათვის დამწერლობისა და სწავლების ენის შერჩევის შესახებ:

1. გაგრძელდეს ჩერქეზული დამწერლობისა და ენის გამოყენება;
2. გადმოღებულ იქნეს აფხაზური დამწერლობა და ენა;
3. შეიქმნას აბაზური დამწერლობა და სწავლება გადავიდეს აბაზურ ენაზე.

პირველი შესაძლებლობა უარუყვიათ აბაზურისა და ყაბარდოულის დიდი სხვაობის გამო, მეორე მოსაზრების პრაქტიკულად შემოწმების მიზნით თ. თაბულოვი ცდებს ატარებდა: ტაპანთელ კაცებს უკითხავდა აფხაზურ წიგნს, მაგრამ ცდისპირნი ვერ იგებდნენ მას, ხოლო აბაზა ქალებს სთხოვდა, გადმოეცათ, რა გაიგეს, მაგრამ ცდამ დაადასტურა, რომ აფხაზური აბაზა ქალებისთვისაც გამოდგა. რაც შეეხება მესამე მოსაზრებას, აბაზური დამწერლობის შექმნასა და მის საფუძველზე სწავლების გადაყვანას, ამ იდეას მასობრივად უჭერდა მხარს მოსახლეობაო. გ. სერდიუჩენკოს განცხადებით,

ეს იდეა არის ყველაზე მოგებიანი, პოლიტიკურად სწორი და მიზანშეწონილი.

პარტიის ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების მიერ 1931 წლის 16 თებერვალს გამართულ თათბირზე დასაშვებად მიჩნეულა აბაზურისათვის აფხაზური დამწერლობის გამოყენება (როგორც ჩანს, აფხაზურ ენაზე სწავლების გადაყვანა არ იგულისხმებოდა). თათბირზე დასმულა საკითხი საანბანო წიგნში აშხარული და ტაპანთური კილოების მონაცემთა შეზავების შესახებ, მაგრამ ეს ამოცანა პრაქტიკულად ძნელი გადასაწყვეტი გამოდგაო. მომხსენებლის სიტყვით, მომდევნო თათბირზე გადაწყვეტილა, აფხაზური დამწერლობის გამოყენებით შეედგინათ საანბანო სახელმძღვანელო. ასეც მოქცეულან და საანბანო წიგნი განსახილველად გადაგზავნილა აფხაზეთში, სადაც ეს წიგნი გადაუმუშავებიათ. გ. სერდიუჩენკო სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ გადამუშავებული წიგნი მას არ ანახეს.

სამწუხაროდ, ოქმის ბოლო ნაწილი არ აღმოჩნდა ჩვენს ხელთ, მაგრამ სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ 1932 წელს ლათინიზებული აბაზური დამწერლობა პრაქტიკულად დაამტკიცა ახალი ანბანის ცენტრალურმა კომიტეტმა. ვიცით ისიც, რომ მასში გამოყენებული იყო პ. უსლარის მიერ კირილიცაზე დაყრდნობით ინტენსიური **ჩ** და **ჭ** ფონემებისათვის შექმნილი ორი ასოც, რაც **უნიკალური ფაქტი** იყო ლათინიზაციის საკავშირო პროცესში: სხვა ენებში არ ხდებოდა ადრინდელი დამწერლობების გრაფემათა გადმოღება (იხ. ცხრილში ბოლოდან მე-3-4 ასოები).

ALFAVIT

Aa	Bb	Cc	Çç	Dd	Ee	Ff
ჭი	Gg	ჯი	ჩი	ჩჩ	ჰი	ყი
ყი	Ii	Jj	Kk	კკ	Ll	
ლლ	Mm	Nn	Oo	Pp	რრ	
qq	Qq	ოო	Rr	Ss	სს	
წწ	Tt	ტი	Uu	Vv	Xx	
Xx	Xჩ	xჩ	Yy	Zz	ზზ	
Zz	ჰჰ	ჩჩ	ჩჩ	ქქ	ჟჟ	
	ჟჟ	ბბ	ლლ			

საყურადღებოა, რომ ახალი ანბანის ცენტრალურმა კომიტეტმა მალევე მოითხოვა **აბაზური დამწერლობის გამარტივება** – მრავალგრაფემიანობა ნაკლია და უნდა დაიძლიოსო. ეს მაშინ, როცა აბაზური ლიდერია მსოფლიოს ენათა შორის ფონემათა სისტემის სიმდიდრით (ფონემათა რაოდენობა 80-ს უახლოვდება). საარქივო დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ამ ეტაპზე საქმეში ჩართულან **აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის კვლევითი ინსტიტუტის** აფხაზი თანამშრომლებიც და მათი ქართველი კოლეგებიც **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტიდან**. ერთ დოკუმენტს ხელს აწერს ჩვენი უფროსი კოლეგა, ერთ-ერთი განყოფილების მდივანი, აწ გარდაცვლილი კავკასიოლოგი **თინათინ გონიაშვილი**, რომელიც 1935 წლის 25 აგვისტოს აცნობებს აფხაზ კოლეგა **არსენი ჰაშბას**, თქვენი თხოვნით გიგზავნით იმ სხდომის ოქმის ასლს რეზოლუციითურთ, რომელზეც განხილულ იქნა თქვენი მოხსენება „**აბაზური დამწერლობის შეკვეცის საკითხი**“. ეს საბუთი ადასტურებს, რომ აბაზური დამწერლობის საკითხზე ერთობლივად უმუშავიათ აფხაზ და ქართველ ენათმეცნიერებსაც.

იქნეს/იქნას ტიპის პარალელურ ფორმათა შესახებ

ორთოგრაფიული ლექსიკონის მნიშვნელობა წიგნიერი საზოგადოებისათვის განმარტებას არ საჭიროებს. ამონაწერი ენციკლოპედიიდან: „**ორთოგრაფიული ლექსიკონი**. სალიტერატურო ენის **ნორმატიული** ლექსიკონი, ანუ მართლწერის თვალსაზრისით სწორი, **ენობრივი ნორმების** მიხედვით გამართული ლიტერატურული სიტყვაფორმების ლექსიკონი“ (ენციკლოპედია „ქართული ენა“, 2008). წერენ კიდევ „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ წინასიტყვაში: „ამ (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონის გამოცემას ქართული სალიტერატურო ენის **ნორმათა** დამკვიდრებისა და დაცვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება“ (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, 1998, გვ. 6); მიანიშნებენ იმასაც, რომ „ეს (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონი ემყარება იმ **ნორმებს, რომლებიც კომისიამ მიიღო სალიტერატურო ქართული ენისათვის**“ (იქვე) (ხაზი ჩვენია). აქ დაზუსტებაა საჭირო: ცხადია, ორთოგრაფიული ლექსიკონი ითვალისწინებს ყველა დადგენილ ნორმას, მაგრამ არის არაერთი საკითხი, რომელიც ნორმის თვალსაზრისით ჯერჯერობით მოუგვარებელია, მათ შესახებ ნორმა არ არის დადგენილი. ასე რომ, „ლექსიკონი ემყარება ნორმებს“, არ მოიცავს ყველა ფორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში თუ ნორმასთან გვაქვს საქმე და ფორმის სავალდებულოობაზეა საუბარი, სხვა შემთხვევაში ორთოგრაფიულ ლექსიკონში უპირატესობამინიჭებულ ფორმას რეკომენდაციის ძალა აქვს.

ამიტომაც ლექსიკონში შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს წარმოდგენილი ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იმავე რიგის ფაქტები. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მნიშვნელობას ჩვენ იმაშიც ვხედავთ, რომ ასეთი მასალის თავმოყრა გასარკვევ და შესასწავლ საკითხებს წარმოაჩენს. ერთ მათგანზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ორთოგრაფიული ლექსიკონი გვასწავლის: სწორია ფორმა **იქნეს**; შესაბამისად, იგულისხმება, რომ მცდარია **იქნას**. არადა, **-ა** სუფიქსიანი ვარიანტი საკმაოდ გავრცელებულია: „ფარსმან სპარსისა-

თვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ტეზა და ანტიტეზა რომანში“ (კ. გამსახურდია) და მრავალი სხვა...

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამ ზმნის ზმნისწინიან ფორმებში კიდევ უფრო კონკრეტდება და ზუსტდება ვითარება: **(ზეიქნას** კი არა) **ზეიქნეს** (ათი წლისა). მაგრამ **ზეიქმნას** (სახელმწიფო, ორგანიზაცია). პარალელური -**ე** სუფიქსიანი ფორმა ამ ზმნასაც აქვს: **ზეიქმნეს**.

არადა, **ზეიქნეს/ზეიქნას** და **ზეიქმნეს/ზეიქმნას** გრამატიკულად იდენტური ოდენობებია. ერთ შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან -**ე** სუფიქსიან ვარიანტს ეძლევა უპირატესობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - **ა** სუფიქსიანს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არა გვაქვს. თუ ისაა მთავარი არგუმენტი, რომ ისტორიულად **იქნეს** ფორმა არის მართებული, იგივე შეიძლება ითქვას **ზეიქმნეს** ფორმაზეც. შესაბამისად: თუ ისტორიულად არამართებულია **იქნას** ფორმა, არამართებულად უნდა ჩაითვალოს **ზეიქმნას** ფორმაც. ენობრივი ლოგიკა ამას გვიკარნახებს.

მსგავსად აღნიშნული ზმნებისა, პარალელურად იწარმოებს II კავშირებითის ფორმებს უნიშნო (resp. **ი**-ელემენტისანი) წყვეტილის მქონე **ი**- პრეფიქსიანი ვნებითები:

ზეიძრას/ზეიძრეს, გაიხსნას/გაიხსნეს, გაიხრწნას/გაიხრწნეს, გაირყვნას/გაირყვნეს... ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობას ორთოგრაფიულ ლექსიკონში ყურადღება არ ექცევა; II კავშირებითის სწორი ფორმა საერთოდ არ მიეთითება, თუმცა ზოგი ზმნის შემთხვევაში -**ე** სუფიქსიანი ვარიანტია მიჩნეული მართებულად (**დაიბნეს, დაირწეს, დაირღვეს...**), ზოგჯერ - **ა** სუფიქსიანი (**დაისვას, დაიძრას...**).

პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რატომაა მართებული **ზეიქნეს** და არა **ზეიქნას**? ანდა **ზეიქმნას** და არა **ზეიქმნეს**? – მითუმეტეს, რომ ისტორიულად ორივე შემთხვევაში მართებულია -**ე** სუფიქსიანი ვარიანტი.

არაერთგვაროვნად წარმოდგენა ერთი და იმავე რიგის ფაქტებისა იმის გამო ხდება, რომ არაა გააზრებული ამ ფორმათა ადგილი ენობრივ სისტემაში და არაა გათვალისწინებული ის ტენდენციები, რომლებიც ამ რიგის ენობრივი ფაქტების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ისტორიული პრინციპის მოშველიება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება: II კავშირებითის წარმოებაში პარალელური ფორმების მქონე ვნებითი გვარის ზმნათა ერთ ჯგუფში -**ე** სუფიქსიანი ფორმებია მართებული (შექმნ-**ე**-ს, იქნ-**ე**-ს, იშვ-**ე**-ს, დაეხსნ-**ე**-ს, განიხრწნ-**ე**-ს...), მეორე ჯგუფის ზმნებში – **ა** სუფიქსიანები (აღიძრ-**ა**-ს, შემოერთ-**ა**-ს, განერთ-**ა**-ს, დაერქვ-**ა**-ს, დაიწვ-**ა**-ს...).

ახალ ქართულში პრობლემას ვნებითი გვარის ზმნები ქმნის (პარალელიზმი აქ გვაქვს). მოქმედებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში ფორმათა ერთგვაროვნებაა: ყველა შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნა II კავშირებითს -**ა** სუფიქსით იწარმოებს: შექმნ-**ა**-ს, ქნ-**ა**-ს, შვ-**ა**-ს, დახსნ-**ა**-ს, გახრწნ-**ა**-ს, აღძრ-**ა**-ს, დაწვ-**ა**-ს...

როგორც ირკვევა, ძველ ქართულში პრინციპულად განსხვავებული ვითარება იყო; არსებობდა მკაცრი კანონზომიერება: როგორც ვნებითი, ისე მოქმედებითი გვარის ზმნათა უნიშნო (resp. **ო**-ელემენტიანი) წყვეტილის მქონე ზმნები II კავშირებითს ერთნაირად იწარმოებდნენ: თუ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი იყო რედუცირებული, II კავშირებითის მაწარმოებელი იყო **ე**; სხვა შემთხვევაში – **ა**:

ქენ – ი-ქნ-**ე**-ს (იგი) და ქნ-**ე**-ს (მან იგი),

ქმენ – იქმნ-**ე**-ს (იგი) და ქმნ-**ე**-ს (მან იგი),

შევ – ი-შვ-**ე**-ს (იგი) და შვ-**ე**-ს (მან იგი),

ჭერ – და-ი-ჭრ-**ე**-ს (იგი) და და-ჭრ-**ე**-ს (მან იგი),

ხრწენ – განი-ხრწნ-**ე**-ს (იგი) და გან-ხრწნ-**ე**-ს (მან იგი)...

მაგრამ:

ძარ – აღიძრ-**ა**-ს (იგი) და აღ-ძრ-**ა**-ს (მან იგი),

კარ – შეი-კრ-**ა**-ს (იგი) და შე-კრ-**ა**-ს (მან იგი),

წვ – მოი-წუ-**ა**-ს (იგი) და და-წუ-**ა**-ს (მან იგი)... (უფრო ვრცლად იხ.: გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, 2010, გვ. 410).

როგორც ვხედავთ, თუ ძველ ქართულში **ე** და **ა** სუფიქსთა განაწილებას II კავშირებითში ფონოლოგიური საფუძველი ჰქონდა, ახალ ქართულში წინა პლანზე წამოვიდა გვარის ფაქტორი: უნიშნო წყვეტილის მქონე მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა **ა**-სუფიქსიან წარმოებაზე გადავიდა: ქნ-**ა**-ს, ქმნ-**ა**-ს, შვ-**ა**-ს, ჭრ-**ა**-ს (მან ის)... ვნებითის შემთხვევაში ტენდენციას მკვეთრად გამოხატული მიმართულება არა აქვს ერთი რომელიმე მაწარმოებლის გაბატონებისა; პარალელური ვარიანტები გაიჩინეს როგორც **ე** სუფიქსიანებმა (ი-ქნ-**ე**-ს // ი-ქნ-**ა**-ს...), ისე – **ა** სუფიქსიანებმა (აღ-ი-ძრ-**ა**-ს // აღ-ი-ძრ-**ე**-ს...).

პარალელურ ფორმათა გავრცელების სიხშირე თანაბარი ჩანს. ვთვლით, რომ **რომელიმე მათგანის აკრძალვა არ იქნებოდა მართებულად; ალბათ შესაძლებელია პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა მიეცეს -ე სუფიქსიან ვარიანტს, თუმცა ამ ეტაპზე დასაშვებად იქნეს მიჩნეული -ა სუფიქსიანი ვარიანტიც...**

იმის თქმა გვსურს, რომ ეს საკითხი ორთოგრაფიულ ლექსიკონში მოსაგვარებელია: ერთგვაროვნება დასაცავი.

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

შუქია აფრიდონიძე და „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“

„ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“ (2002 წ.) არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა. ამ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოს კოორდინატორი ქალბატონი შუქია აფრიდონიძე იყო.

დასახელებული გამოცემა არის პირველი ქართული სტილისტიკური ცნობარი, რომელიც განკუთვნილია ჟურნალისტებისა და მედიის სპეციალისტებისთვის.

გამოცემის ძირითად ნაწილს ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი წარმოადგენს, რომელსაც ახლავს ვრცელი დანართი. ლექსიკონში გათვალისწინებულია ტიპობრივი შეცდომები და უზუსტობანი, რომლებიც გამოვლინდა სათანადო (საკმაოდ შრომატევადი) კვლევის შედეგად. ორთოგრაფიულად წარმოდგენილია როგორც სიტყვაფორმები, ისე შესიტყვებები; ყურადღება გამახვილებულია უცხოურ ნასესხობებზე; საჭიროების შემთხვევაში მართებულ ფორმებს ერთვის მცირე განმარტებები და კომენტარები.

ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი ეფუძნება „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს“, მაგრამ გარკვეული სიახლეებით განსხვავდება მისგან. აღნიშნულ ცნობარზე მუშაობისას გამოიკვეთა ამგვარ ლექსიკონთა შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც შემდგომში მომზადდა ამავე ტიპის გამოცე-

მები: „ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი I“, „ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი II“, „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „სა-ჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ და სხვ.

განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ცნობარის დანართს. მასში სწორედ ის ინფორმაციაა თავმოყრილი, რომელიც უდავოდ სჭირდება ამ გამოცემის მკითხველს. ესენია: გარკვეული სახის აბრევიატურები (განმარტებითურთ), პუნქტუაციის წესები, უცხო ენათა ასოების ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) ძირითადი წესები და სხვ.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო მოღვაწეობა

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი შუქია აფრიდონიძე არაერთი მონოგრაფიის, ნორმათა პროექტისა და ასობით სამეცნიერო სტატიის ავტორია.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მკვლევარი 1977 წლიდან მუშაობდა; იყო ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე (1982-2006) და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქტორი (1984-2004).

ქალბატონი შუქიას ხელმძღვანელობით მომზადდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი (შეესებული) გამოცემა (1998), „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“ (ჯგუფთან ერთად – 2002), სამჯერ გამოქვეყნდა (2002, 2007, 2009) „ჩვენი ენა ქართული“ – ყველა ქართველის სამაგიდო წიგნი...

შუქია აფრიდონიძის საკანდიდატო დისერტაციის თემაა „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“, სადოქტოროსი – „მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში“.

მეცნიერი იკვლევდა ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, სტილისტიკის, ორთოგრაფიის, მწერლის ენისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

შუქია აფრიდონიძის თანაავტორობით გამოიცა სხვადასხვა სახის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონები, მათ შორის – „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I“ (2009), რომელიც ძირითადად შედგენილია ზეპირი მეტყველებისას დადასტურებული შეცდომებისა თუ უზუსტობების გათვალისწინებით; „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II“ (2011), რომელიც მიემდგვნა პრესის ენას (ამ სფეროში გამოვლენილ ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ შეცდომათა აღმოფხვრას); „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“ (2011) – პირველი ამ სახის ლექსიკონი საქართველოში; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (2011), რომელიც შედგენილია სასკოლო სახელმძღვანელოებში დადასტურებული ორთოგრაფიული შეცდომების გათვალისწინებით; „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (2012) – შესაბამისი კომენტარებითა და დანართებით...

მკვლევარი იყო აგრეთვე სარედაქციო კოლეგიის წევრი შემდეგი ლექსიკონებისა: „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, „ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი“...

შუქია აფრიდონიძე სხვადასხვა დროს კითხულობდა ქართული ენის კურსს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2006 წლიდან იყო ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ენის სწავლებისა და კვლევის მიმართულების ხელმძღვანელი და აკადემიური საბჭოს წევრი.

ქალბატონი შუქია დაჯილდოებულია ღირსების ორდენით ქართული ენის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის განათლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მკვლევარმა არაერთი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი აღუზარდა საქართველოს.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

შუქია აფრიდონიძე – მთარგმნელი

იშვიათ პოეტურ ოსტატობას უნდა ფლობდეს მთარგმნელი, დიდი ანას ქმნილებები უცხო ენაზე რომ აამეტყველოს. შუქია აფრიდონიძე ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია. 2017 წელს გამოიცა ანა კალანდაძის ლექსების რუსული თარგმანი (120-ზე მეტი ლექსი კომენტარებითურთ). ცნობილია, რომ თავად ანამ უბადლოდ თარგმნა ქართულ ენაზე ა. ს. პუშკინის რამდენიმე ლექსი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შუქია აფრიდონიძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ანა კალანდაძის ლექსები ასევე საოცრად პოეტური და მუსიკალურია – რითმულ-რიტმული სტრუქტურის ადეკვატურად შერჩევისა თუ მხატვრულ-სტილისტიკურ მახასიათებელთა შესაფერისად გამოყენების თვალსაზრისით... რაც მთავარია – თარგმანში შენარჩუნებულია ის სიფაქიზე, მოკრძალება და კდემამოსილება, მხოლოდ ანას პოეზიას რომ ახლავს და თხემით ტერფამდე იპყრობს მკითხველს.

ერთ შემთხვევაში („საქართველოო ლამაზო“) მთარგმნელი ძველი რუსულის წიადიდან ირჩევს ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს სათქმელის უფრო მძაფრად თუ პოეტურად წარმოსაჩენად (მაგ., ძვ. რუს. *ворог „враг“* – მტერი), ამავდროულად ინარჩუნებს ორიგინალის რვამარცვლიან ტაეპს და მოიხმობს იშვიათი ჰარმონიულობით შეწყვილებულ სართიმო ერთეულებს:

„აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი...“

„Сулико“ отсюда родом,
К солнцу взвился конь-„Мерани“...
И копь ворог вероломно
Перешёл бы через грани...“

სხვა შემთხვევაში („ბოშა ქალი“) გარკვეული კოლორიტის შესაქმნელად მთარგმნელს შერჩეული აქვს სწორედ იმ სახის ლექსიკური ერთეული, რომელიც ყველაზე ადეკვატურად ასახავს კონკრეტულ გარემოს, კერძოდ, მეზღვაურის მიმართვას ლამაზი ბოშა ქალისადმი (чмокну хоть разок!):

„ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!“

„Преградил ей путь матрос:
– Пташка, чмокну хоть разок!“

თავისებურ ელფერს სძენს სათქმელს პოსტპოზიციური მსა-
ზღვრელი როგორც ორიგინალურ („უსმენს“), ისე ნათარგმნ ტექსტ-
ში; ავტორის რითმული ქარგა (ამ შემთხვევაში – თერთმეტმარ-
ცვლიანი ტაეპი) აქაც დაცულია; ოსტატურადაა დაძებნილი სა-
რითმო ერთეულებიც:

„ირხევა, ბიბინებს კორდი პაწია,
თეთრი ყვავილების კაბა აცვია...“

„Дышет, колышется полянка крошка,
Вся разодетая в белых цветочках...“

საინტერესო ჩანს სარითმო ერთეულთა მხატვრული გამეორე-
ბით თარგმნილი ლექსი „რომ ავყოლოდი გულისთქმას“. ამ შემთხ-
ვევაში არჩევანი (კერძოდ, გამეორება ტაეპის ბოლოს) უშუალოდ
მთარგმნელის პოეტურ გემოვნებას უკავშირდება და დიდებულად
იხატება უცხო ენაზე ანას „გულისთქმა“:

„რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...“

„Зову сердца поддалась бы,
Без рассудка, без ума бы,
Жизнь с тобою провела бы,
В твоём сердце расцвела бы...“

სათქმელი ძალზე ბევრია – ყოველ თარგმნილ ლექსს თავისი
პოეტური ხიბლი ახლავს.

რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

ერთი დარღვევის შესახებ ჟურნალისტების მეტყველებაში (არცერთი/ ვერცერთი)

ერთმაგი ან ორმაგი უარყოფის შესახებ ქართულ ენათმეცნიერებაში ბევრი რამ თქმულა და დაწერილა (ვ. თოფურია, ზ. ჭუმბურიძე, გ. შალამბერიძე, ლ. გეგუჩაძე, ა. არაბული; ვრცელი და საინტერესო ნაშრომი უარყოფის კატეგორიის შესახებ – რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე). თითქოს უკვე ათასჯერ განხილული საკითხია, მაგრამ ჟურნალისტები ზეპირ მეტყველებაში ჯიუტად მისდევენ პრინციპს, რომ ორმაგი უარყოფა ყოველთვის უმართებულოა. ამიტომ ისინი ხშირად ცდილობენ, არ გამოიყენონ უარყოფითი ნაწილაკი უარყოფით ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან.

ერთმაგი ან ორმაგი უარყოფის არჩევას უმეტესად სტილისტური ხასიათის მოვლენად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ასეა მხოლოდ მაშინ, თუკი არჩევანი მთქმელის ან ავტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ა. არაბულმა ჩამოაყალიბა ყველა შემთხვევა, როდესაც აუცილებელია ორმაგი უარყოფა, ხოლო ლ. გეგუჩაძემ ყურადღება მიაქცია დარღვევებს ერთმაგი უარყოფის გამოყენებისას ქართველ მწერალთა ენაში.

ქართული ენობრივი კორპუსების მიხედვით, **არც/ვერც/ნურც** ნაწილაკების შემცველ გამოთქმათა მართებული გამოყენება (უმეტესად – მასმედიის ენაში) მეტია. მაგრამ ჟურნალისტების ზეპირ მეტყველებაში უმართებულოდ გავრცელდა ერთმაგი უარყოფა. გასათვალისწინებელია, რა მოსდევს მათ: თუკი გვაქვს დაპირისპირება: **არც ერთი – არც მეორე, ვერც ერთი – ვერც მეორე, ნურც ერთი – ნურც მეორე**, ცხადია, არაა საჭირო უარყოფითი ნაწილაკი. მაგრამ მხოლოდ პირველი ნაწილის გამოყენებისას (არცერთი// ვერცერთი) **არც/ვერც/ნურც** ნაწილაკების გამოტოვება გრამატიკულად უმართებულოდ აგებს წინადადებას (მაგ.: ვერცერთმა ხელისუფლებამ მოაგვარა ეს პრობლემა“ და მრავალი სხვა).

მართალია, ქართული ენის კორპუსთა მონაცემები ადასტურებს, რომ მსგავს მაგალითებში ორმაგი უარყოფა ჭარბობს (არც ერთი – 39960; ვერც ერთი 7006; ნურც ერთი – 52; აქედან: არც ერთი არ

– 1310 მაგალითი; არც ერთი, არც მეორე – 1121; ვერც ერთი ვერ – 260; ვერც ერთი, ვერც მეორე – 132), მაგრამ სატელევიზიო გადაცემებში ზეპირი მეტყველების დროს უმართებულო მაგალითები გაცილებით მეტია.

ვფიქრობთ, ჟურნალისტებმა უნდა გამოიჯონ ორი შემთხვევა: ერთი მხრივ, არც ერთი – არც მეორე და, მეორე მხრივ, დამოუკიდებლად გამოყენებული არცერთი, რომ მეტყველების დროს არ დაუმვან ამ ტიპის შეცდომა.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

„მარტივი ენის“ შესახებ

მსოფლიოში (საჯარო და კერძო სფეროში) სულ უფრო და უფრო აქტუალურია ე. წ. „მარტივი ენის“ გამოყენების საკითხი. ყველასთვის გასაგებ ენას უწოდებენ ისეთ მეტყველებას, როცა წინადადების სტრუქტურა, სიტყვათრიგი და სტილი იმგვარია, რომ სამიზნე აუდიტორია ადვილად იღებს და იყენებს საჭირო ინფორმაციას. მსგავსი ფუნქცია აქვს ე. წ. „ადვილად წასაკითხ ენასაც“, რომლის დანიშნულებაც რთული და სპეციფიკური ტერმინოლოგიით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის მარტივი ენით გადმოცემაა. ზოგ ქვეყანაში საკითხი ინსტიტუციურად არის მხარდაჭერილი (მაგ., შვედეთი, ინგლისი, ნორვეგია), ზოგში კი – კანონმდებლობითაც გამყარებული (მაგალითად, აშშ).

„ევროპის ენები საჯარო სფეროში“ (ELIPS) ენის ინსტიტუტთა ევროპული ასოციაციის პირველი პროექტია, რომელიც ევროპის მასშტაბით მთავრობის, კანონმდებლობისა თუ საჯარო მომსახურების ხალხთან კომუნიკაციის ინსტრუმენტთა დახვეწას ემსახურება სპეციალური კვლევებისა და სამუშაო შეხვედრების გზით. აღსანიშნავია, რომ საქართველო წელს პირველად იქნება გათვალისწინებული ევროპის ზემოაღნიშნული პროექტის მონაცემებში.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე: ქართული ენის მდგომარეობა ამ მხრივ – სპეციალური კითხვარის

პასუხების მიხედვით; „მარტივი ენის“ პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და შესაძლო ნაბიჯები საჯარო სფეროში „მარტივი ქართული ენის“ განვითარებისათვის – საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

შუქია აფრიდონიძე და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში 1966 წელს დაარსდა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. შუქია აფრიდონიძე დასახელებული კრებულის VI-XII ტომების რედაქტორია (1984-2004).

წიგნები მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის, მორფოლოგია-სინტაქსის, სემანტიკის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხს. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ შუქია აფრიდონიძის ავტორობით გამოქვეყნებულია 11 სტატია, რომლებშიც წარმოდგენილია თითქმის ყველა ზემოთ დასახელებული პრობლემური საკითხის კვლევა:

1. „სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში“ (ქსკს, II, 1979);
2. „ურბონიმი და მისი ევოლუცია“ (ქსკს, IV, 1981);
3. „ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები“ (ქსკს, IV, 1981);
4. „რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის“ (ქსკს, V, 1983);
5. „თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის“ (ქსკს, VI, 1984);

6. „ე. წ. აბსოლუტური სინონიმების შესახებ“ (საკუთარი და ნასესხები ლექსიკის სინონიმური ურთიერთობისთვის) (ქსკს, VIII, 1988);

7. „ილია ჭავჭავაძის სტილისათვის“ (ქსკს, IX, 1989);

8. „ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში“ (ქსკს, X, 1993);

9. „რიტორიკული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება“ (ქსკს, XI, 1998);

10. „აბრევიაცია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“ (ქსკს, XII, 2004);

11. „რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში“ (ქსკს, XIII, 2013).

მკვლევარმა დასახელებული ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასტანდარტიზაციის საქმეში.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზემოთ ჩამოთვლილ სტატიათა საკვანძო საკითხები.

თ ი ნ ა თ ი ნ მ ა რ გ ა ლ ი ტ ა ძ ე

შუქია აფრიდონიძის წვლილი ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში

პროფესორი შუქია აფრიდონიძე მრავალმხრივი მეცნიერი იყო. მკვლევრის მოღვაწეობის სფეროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული სალიტერატურო ენისა და ლექსიკოგრაფიის საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონმა შუქიამ უცხოელი ქართველოლოგების რამდენიმე თაობა აღზრდა.

შუქია აფრიდონიძის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე, ბრიტანელი ქართველოლოგი დონალდ რეიფილდი იხსენებს, როგორ გახდა ქალბატონი შუქიას პირველი მოსწავლე 1973 წელს (როდესაც პირველად ჩამოვიდა საქართველოში): „...საკუთარი იღბლის არ მჯეროდა, ქალბატონი შუქია იყო არა მხოლოდ ცნობილი ენათ-

მეცნიერი, არამედ უაღრესად ნიჭიერი მასწავლებელი, რომელიც თავის მოსწავლეებს სადოღე ცხენბივით წვრთნიდა. მისი წყალობით გავეცანი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ვარსკვლავებს და დავიწყე გალაკტიონისა და ვაჟას თარგმნა. მოგვიანებით გადავედი რეზო გაბრიადის სცენარებზე, შემდეგ კი – ოთარ ჭილაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის რომანებზე. ყველა ამ საქმიანობაში ქალბატონი შუქია იყო ჩემი საუკეთესო მრჩეველი და მეგზური“.

შუქია აფრიდონიმემ არა მხოლოდ აღზარდა ქართველოლოგთა თაობები, არამედ შეაყვარა მათ ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურა; ისინი ქართული ენისა და კულტურის სამსახურში ჩააყენა და დიდად შეუწყო ხელი ქართული ენის საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოქცევას.

ქალბატონი შუქია არაერთ ლექსიკოგრაფიულ პროექტში მონაწილეობდა, რომელთა შორის უნდა გამოიყოს „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 14 ტომი და დ. რეიფილდის რედაქტორობით შექმნილი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ ორტომეული.

„დიდი ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე“ მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. 80-იან წლებში რედკოლეგიამ (რომლის წევრი ქალბატონი შუქიაც იყო) გადაწყვიტა არსებული მასალის შევსება-გადამუშავება და გამოსაცემად მომზადება. შუქია აფრიდონიმე პასუხისმგებელი იყო ლექსიკონის ქართული ნაწილის ენობრივ მხარეზე. ქალბატონი შუქია – უბადლო მცოდნე ქართული და ინგლისური ენებისა – დიდ სამსახურს უწევდა რედკოლეგიას. მან ენობრივად დახვეწა „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ წიგნად გამოცემული თოთხმეტივე ტომი (2500 ნაბეჭდი გვერდი).

გასული საუკუნის მიწურულს ჩვენმა სარედაქციო ჯგუფმა ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე მუშაობა გადაწყვიტა. ქალბატონ შუქიასთან ერთად დამუშავდა ლექსიკონის შედგენის პრინციპები და დაიწყო მუშაობა სიტყვა-სტატიების მომზადებაზე. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა საქართველოში დონალდ რეიფილდი ვრცელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის შექმნის იდეით. შუქია აფრიდონიმემ დონალდ რეიფილდი გაგვაცნო – ასე დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა.

დონალდ რეიფილდმა გაიზიარა ჩვენ მიერ შემუშავებული ლექსიკოგრაფიული პრინციპები. ქალბატონმა შუქიამ ლექსიკონზე სამუშაოდ მოიწვია ბატონი არიანე ჭანტურია. სწორედ არიანე ჭანტურიასა და შუქია აფრიდონიძის დამსახურებაა ის, რომ ექვს წელიწადში შეიქმნა 140 000 სიტყვა-სტატიის შემცველი „ვრცელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, რომელიც დიდ სამსახურს უწევს როგორც ქართველ მომხმარებელს, ისე ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს.

შუქია აფრიდონიძე იყო არა მხოლოდ დიდად განსწავლული მეცნიერი, არამედ დიდი პიროვნებაც: თავმდაბალი, სხვისი ცოდნისა და შრომის დამფასებელი, სრულიად უანგარო, ერთგული მეგობარი. ასეთად დარჩება იგი მისი მოსწავლეების, მეგობრებისა და კოლეგების გულეებში.

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე

შუქია აფრიდონიძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

შუქია აფრიდონიძე – მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი: მეცნიერი, პედაგოგი, ხელმძღვანელი, პოეტი, მთარგმნელი, კლასიკური მუსიკის დიდი ტრფიალი და თავადაც ბრწყინვალე შემსრულებელი სამუსიკო ნაწარმოებებისა...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილების (რომელსაც შემდეგ ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება ეწოდა) პირველი ხელმძღვანელი გახლდათ ივანე გიგინეიშვილი. მკვლევარმა საგანგებოდ მოიწვია ამ განყოფილებაში უკვე გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერი და პედაგოგი შუქია აფრიდონიძე, რომელმაც თავისი ხელმძღვანელის საქმე ღირსეულად გააგრძელა.

ქალბატონმა შუქიამ მოამზადა არაერთი ნორმის პროექტი, რომლებშიც განხილულია თანდებულების მართებულად გამოყენე-

ბის შემთხვევები, სიტყვათა გადატანის წესები, ტოპონიმთა მართლწერის საკითხები და სხვ.

ნორმაში – „თანდებულად გამოყენებული წი ნ და უ კ ა ნ სიტყვების ხმარებისათვის“ – გაანალიზებულია თანამედროვე ქართულში დადასტურებული დარღვევები, რომლებიც დასახელებულ ზმნისართთა გამოყენებას უკავშირდება. წარმოდგენილია მართლწერის წესებიც.

მკვლევარი საგანგებოდ შეეხო აგრეთვე ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა გადატანის წესები. სწორედ ამ თემის განხილვას მიუძღვნა მეცნიერმა ნორმის პროექტი „სიტყვის გადატანის წესები“, რომლის ახალი რედაქცია ბოლო წლებში შეიმუშავა ქეთევან დათუკიშვილთან ერთად.

მეცნიერის ინტერესის სფერო იყო ასევე (როგორც ითქვა) ტოპონიმთა მართლწერა. ცნობილია, რომ რთულ ტოპონიმთა გამოყენებისას არაერთი სადავო საკითხი იჩენს თავს. ამ სირთულის დაძლევისა და დარეგულირებას ეხება ქალბატონი შუქიას ნორმა „რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა“.

შუქია აფრიდონიძის მიერ მომზადებული სალიტერატურო ენის ნორმები (და, ზოგადად, მისი ყველა ნაშრომი) გამორჩეულია მეცნიერული სიღრმით, სიახლითა და მეტყველების სისადავით.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო შრომებში

მიმართვას, როგორც დიალოგური მეტყველების სპეციფიკურ კომპონენტს, ეძღვნება შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“, რომელიც ორი – სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრული – პარადიგმის ფარგლებში თანადროული კვლევის შედეგია. ამდენად, დასახელებული ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი,

რომ, გარდა წმინდა ლინგვისტური დასკვნებისა, მასში გამოვლენილია ენისა და კულტურის კოდების ურთიერთქმედებით წარმოქმნილი ენობრივ ნიშანთა (არაერთი ლექსემის, მყარი შესიტყვებისა თუ ფორმულის) კულტურული სემანტიკა. მიმართვის ფორმათა სამეტყველო ეტიკეტის კონტექსტში განხილვით ნაჩვენებია, თუ რა მდიდარ ცნობებს შეიცავს ისინი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ. მონოგრაფიაში შესწავლილია სახელური, ზმნური (იმპერატიული), ინტეროგატიული მიმართვები, განხილულია მიმართვებთან დაკავშირებული რიტმიკულ-ინტონაციური და ნორმატიული საკითხები, გამოყოფილია მიმართვათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს მონოგრაფიის მეორე ნაწილი, რომელშიც მიმართვის ფორმათა ფუნქციონირების პრობლემები, ადრესანტ-ადრესატის ურთიერთობის სოციოლინგვისტური ასპექტებია წარმოჩენილი.

უფროსი თაობის უახლოეს ნათესავთა აღმნიშვნელი სახელები (დედა, მამა, დეიდა, მამიდა, ბიძ(ი)ა//ძია, ბიცოლა, პაპა//ზაბუა, დიდედა//ბებია) საკუთარ აღსანიშნებთან გვგზავნიან, როდესაც მათ უმცროსი თაობის წარმომადგენლები იყენებენ უფროსებისადმი მიმართვისას (მაგ.: შვილი მიმართავს დედას: „დედა, ფეხბურთის სათამაშოდ მივდივარ“) და აქ უჩვეულო არაფერია. გამორჩეული შემთხვევები იქმნება მაშინ, როდესაც იმავე ლექსემებით უფროსი თაობის წარმომადგენლები უმცროსებს მიმართავენ (მაგ.: ქალი შვილს ან შვილის ტოლს მიმართავს: „დედა (//დედიკო//დედი//დე), შენც მიდიხარ?“). მეორე ტიპის მაგალითებს რეფლექსურ//უკუქცევით მიმართვებს უწოდებს შ. აფრიდონიძე, ვ. ბოედერი მათ ვოკატიურ ინვერსიად//მიმართვის ბიპოლარულ ფორმებად მოიხსენიებს, მათვე ოკაზიონალურ ენანტიოსემათა რიგში განიხილავენ ლ. აბულაძე და ა. ლუდენი.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ამგვარ მიმართვათა წარმოშობასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ფორმების დასაბამად „გადიების ენა“ ივარაუდება, რომლის ძირითადი პრინციპი პერსონალური სუბსტიტუცია, „როლების გაცვლა“ (შდრ.: „საბავშვო ლექსიკა შეთხზულია არა თვით ბავშვების მიერ, არამედ უფროსთა (პირობითად – გადიების) მიერ ბავშვთა მეტყველების წარმოსახვითი იმიტაციის გზით“, – შ. აფრიდონიძე). დამოწმებული თვალსაზრისის

თანახმად, უფროსი თაობის „თვითწოდებებით“ მიმართვას უმცროსისადმი თავდაპირველად რეპეტიტულობაზე დამყარებული თამაშის სახე ჰქონდა და პატარებისათვის „მშობელთა ჯგუფის“ სახელების სწავლებას ისახავდა მიზნად, შემდეგ რეფლექსური მიმართვა ზრდასრულებისადმიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და წინა ვითარებიდან გადმოყოლილი ალერსობითი ხასიათი აქაც შეინარჩუნა.

ზემომოყვანილ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მისი მისადაგება შეიძლება ნებისმიერი იმ ენისათვის, რომელშიც უკუქცევითი მიმართვის ფორმები დასტურდება. უფროსი თაობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება უმცროსების მიმართ ყველგან ზრუნვასა და სიყვარულს ემყარება. ამდენად, საალერსო ლექსიკა-ფრაზეოლოგია თუ გრამატიკული საშუალებები მეტ-ნაკლებად ყველა ენაში არსებობს. „მაგრამ ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი განსაკუთრებით ამდიდრებს ენას ამ საშუალებებით. მიმართვების აღნიშნული სისტემის განხორციელება სწორედ რელატიური სტრუქტურის ზმნების გამოყენებით ხდება შესაძლებელი, – მათი გამოტოვების გზით“ (შ. აფრიდონიძე).

ქართულ ლინგვოკულტურაში დადასტურებული რეფლექსური მიმართვები სახელისა და ზმნის შემცველი საალერსო ფრაზეოლოგიური გამოთქმების რედუცირებული ვარიანტებია, რომლებიც მიღებულია ექსპრესიულ-რელატიურ ზმნათა – „გენაცვალოს“, „შემოგველოს“ – ელიფსისის შედეგად (მაგ.: „(შენ) გენაცვალოს დედა, მოხვედი? > „დედა, მოხვედი?“), რაზედაც მოხსენებაში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

მარიამ ორკოდაშვილი

ხელოვნური ინტელექტის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისათვის ქართულსა და ინგლისურში

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ტერმინოლოგიურ სირთულეებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც იკვეთება თანამედროვე ტექნოლოგიების ამსახველი ტექსტების ინგლისური ენიდან ქართულად გადმოთარგმნისას.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეპოქაში ტექნოლოგიები ძალზე სწრაფად ვითარდება და იცვლება. ასევე სწრაფად იცვლება და ვითარდება ის ენა, რომელიც ამ ტექნოლოგიებსა და მათთან დაკავშირებულ კვლევებს ასახავს.

ტერმინოლოგიური ცვლილება-სიახლენი ძირითადად ინგლისურში დაჩნდება, რადგან ის დღესდღეობით მეცნიერულ-ტექნოლოგიური სფეროს ამსახველი დომინანტი ენაა.

ქართულში ახალი ტერმინები ან არასწორად თანგმნილი სახით გადმოდის, ან ინგლისურივე ფორმით მკვიდრდება.

მოხსენებაში განხილული იქნება დასახელებული ტიპის ტერმინთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა:

- Loop body
- Bubble
- Iteration
- Cocktail sorting
- Memory layout
- Enqueue
- Dequeue
- Dummy variable
- Tensorflow
- Scikit-learn
- Radix sort
- Higher order thinking

Cocktail shaker algorithm

Chat GPT

Organoid Intelligence

Virtual Intelligence

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც განხილვასა და დაზუსტებას საჭიროებს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სამომავლო კვლევისას.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

შუქია აფრიდონიძე – სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონთა დანართების ავტორი

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ ორი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი მიუძღვნა მოსწავლეებს, სკოლას... ესენია 2011 წელს გამოცემული „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და მისი გადამუშავება-შეკვრის შედეგად მომზადებული „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (2012 წ.). ორივე ლექსიკონის მიზანი ქართული მართლწერა-მართლმეტყველების სფეროში მოსწავლეების დახმარება იყო. ლექსიკონები დაემყარა სხვადასხვა დარგის სასკოლო სახელმძღვანელოებს და მათში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლე ახალგაზრდების ზეპირ თუ წერით მეტყველებასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში დადასტურებული შეცდომები, კომპიუტერული ტერმინოლოგია და სხვ. ორივე ლექსიკონის ღირსება სადავო ორთოგრაფიულ საკითხებზე პასუხის გაცემასთან ერთად მათი დანართებიც არის. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ დანართთა უმეტესობა შუქია აფრიდონიძის მიერაა მომზადებული. ესენია:

1. გეოგრაფიული სახელების მართლწერა;
2. საქართველოს ეთნოდიალექტურ რეგიონთა სახელწოდებები და მათგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელები;
3. საერთაშორისო სიტყვები და საკუთარი სახელები;

4. დანართიანი სათაურ-სახელწოდებანი კონტექსტში;
5. სიტყვის დამარცვლა-გადატანის წესები;
6. პუნქტუაციის ძირითადი წესები;
7. აბრევიაცია-შემოკლებანი.

შუქია აფრიდონიძე, რომელსაც ახალგაზრდებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა, პოპულარულ ენაზე, მარტივად აწვდიდა მოსწავლეებს მართლწერა-მართლმეტყველების პრობლემებთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას. მასალაც მათთვის შესაფერისი დოზითა და სტილითაა მოწოდებული აღნიშნულ დანართებში.

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

ქართული ვერბალური ეტიკეტის მასაზრდოებელი ფაქტორისათვის

ყოველი ჩვენგანის ყოველდღიურობაში მთავარი მამოძრავებელი ძალაა ცოცხალი ურთიერთობა, რასაც აწესრიგებს ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანი, რადგან ვართ აღთქმადადებულნი – ღვთის წინაშე და პირობადადებულნი – კაცთა წინაშე. სწორედ ამის მიხედვით აღიჭურვა **ვერბალური** (resp. სამეტყველო) **ეტიკეტი** ჯანსაღი ზნეობრიობის, პასუხისმგებლობისა თუ დისციპლინის გარკვეული მარეგულირებელი ფუნქციური სემანტიკით.

მოხსენებაში – ცოდნისა და რწმენის გაერთიანების საუკუნოვანი პრინციპის გათვლისწინებით – წარმოვადგენთ **ქართული ვერბალური ეტიკეტის** სუბსტანციურ-სემანტიკური ფუნქციონირების თავდაპირველი მასაზრდოებელი ფაქტორის ანალიზის ცდას, კერძოდ: სათანადო ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზითა და შესაბამისი საღვთისმეტყველო (კატეხიზისურ-ეგზეგეტიკური) მასალის მოხმობით ნიშანდობლივ ამოიცნობა ქართული ვერბალური ეტიკეტის

როგორც წერილობითი და ზეპირმეტყველებითი, ისე საკუთრივ ცნებითი ფორმულირება – მისი სამი ძირითადი მიმართულებით:

- „მშვდობაჲ თქუენდა...“, „მადლი, წყალობაჲ და მშვდობაჲ [ღმრთისა მიერ] ოჯახსა ამას...“,

- „გიხაროდენ...“, „გამარჯობა... გაგიმარჯოს“, „სალამი“ (კომუნიკაციის **წამოწყების** ჟამს),

- „გმადლობ, [უფალო]“, „მადლობა [უფალს]“, „მადლი თქუენდა და...“, „ჰმადლობდით მარადის ყოველთათჳს...“, „გილოცავ...“, „[გან]იხარე...“, „შემინდვენ მე...“, „მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი...“, „მაპატიე...“, „ბოდიში“ (კომუნიკაციის **განვითრების** ჟამს),

- „მადლი თქუენ თანა...“, „მშვიდობით“, „ნახვამდის“, „შეხვედრამდე“, „კარგად/კეთილად იყავი/მენახე/ბრძანდებოდე[თ]“ (კომუნიკაციის **დასრულების** ჟამს).

განალიზებულ ლექსიკურ მასალაში სარწმუნოდ აღიბეჭდება **ქრისტიანული ცხოვრების წესის რჯულისმიერი** შინაარსი და დანიშნულება, როგორც ქართული ვერბალური ეტიკეტის უპირატესი განმაპირობებელი ფაქტორი.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ლექსიკურ აქტივობათა პრაგმატული ბუნებისათვის

ცოცხალ ლექსიკოლოგიურ პროცესებზე დაკვირვება ლექსიკურ აქტივობათა ნაირგვარობას წარმოაჩენს. ენის პრაგმატულ ასპექტში ყველაზე მკაფიოდ გაცხადებული თანამედროვე ქართული სოციოკულტურული სიტუაცია ამ ნაირგვარობათა უექველი წყაროა. უცხო ენათა ინტენსიური მოძალების პირობებში ლექსიკის პრაგმატული რეალიზაციის ცხადი თუ დაფარული, სავარაუდო თუ მოულოდნელი ჭრილი მენტალურ ორიენტირებსაც მიემართება.

ის ფაქტი, რომ მდიდარი ლექსიკა ენის ფლობის კულტურულ დონესა და, შესაბამისად, შინაარსსაც მეტი დახვეწილობით წარმოგვიდგენს, ერთგვარად იჩრდილება ან უჩინარდება კიდეც სწორედ სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტების გავლენით. „ლექ-

სიკური პარადიგმატიკის ფაქტთა აღწერისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, ჯერ ერთი, სემანტიკური შესაძლებლობანი აქ გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სხვა შემთხვევებში (კერძოდ, გრამატიკის შემთხვევაში) და, მეორეც, ენობრივი კოლექტივის ცხოვრება უშუალო გავლენას ახდენს ამა თუ იმ პარადიგმატული კავშირის შექმნასა თუ დარღვევებზე“ (ბ. ფოჩხუა). ენობრივი არჩევანი, ოპტიმალურ ენობრივ საშუალებათა ძიება ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს და ამის მეცნიერული შესწავლისათვის მოწოდებულია კიდევ სამეცნიერო დისციპლინები: ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, მეტყველების კულტურა და სხვ. თუმცა საკუთრივ ენობრივი არჩევანის მოტივირებულობა პოზიტიურობის განმსაზღვრელი, მაგრამ, როგორც ჩანს, პრაგმატული ასპექტი პროცესის უპირატესი წარმართველია და ეს უპირატესობა პრაგმატული ასპექტისა დამოუკიდებელია შედეგის დადებითი თუ უარყოფითი ხასიათისაგან, რამდენადაც თვით ეს უკანასკნელი პრაგმატული რეალიზაციის შემფასებლობითი მხარეა.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოხსენებაში მსჯელობისა და დაკვირვების საგანია უახლესი ქართულის ლექსიკური ფონდის დინამიკის ზოგიერთი მახასიათებელი და ლექსიკოლოგიურ ტენდენციათა თავისებურება. ძირითადი საანალიზო ობიექტების (მაგალითად, ლექსემები: მეგობარი, საყვარელი, ბოიფრენდი, გელფრენდი, ნარატივი, კომუნიკაცია, ლოკაცია, სლოგანი, სლენგი და სხვ.) ლექსიკური პარადიგმატიკის კვლევა, ცხადია, სემანტიკური ფაქტის შეფასების საკითხსაც დასვამს. ახალი ლექსემები თუ უკვე არსებულთა განახლებული შინაარსობრივი რაკურსი საუკეთესოდ წარმოაჩენს ლექსიკურ აქტივობათა ობიექტურ საფუძვლებსა და პრაგმატული ბუნების სპეციფიკას.

-ემ სუფიქსიანი სიტყვაწარმოებისათვის სალიტერატურო ქართულში

ხშირად რიგ ლინგვისტურ სკოლაში შეიმჩნევა სიტყვათა ფორმირების გათანაბრების ტენდენცია დერივაციულ მორფოლოგიასთან. ზოგჯერ დერივაცია იდენტიფიცირებულია მხოლოდ სიტყვის წარმოებასთან – ახალი სიტყვების ფორმირება აფიქსაციის საშუალებით. ვინაიდან სიტყვაწარმოება არის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის ალგორითმი, როგორც ენაში მოტივირებული ფუძეთექმნადობა სათანადო მარკერებით, ის შეიძლება ჩაითვალოს ონომასიოლოგიის განუყოფელ ნაწილად. ქართველოლოგიურ სინამდვილეში სიტყვაწარმოების შესწავლა ხერხდება როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე. სინქრონიული სიტყვაწარმოება სწავლობს სიტყვაწარმოქმნის სისტემას ან მის ნაწილებსა და ელემენტებს ენის განვითარების შედარებით ახალ პერიოდში. დიაქრონიული სიტყვაწარმოება იკვლევს ისტორიულ პერიოდში სიტყვაწარმოქმნის სისტემაში მომხდარ ცვლილებებს – განსაზღვრავს წარმოებულებისა ან რთული სიტყვების საწყის სტრუქტურას, ამ სიტყვების გაჩენის გზებს და მათ სტრუქტურაში განხორციელებულ ისტორიულ ცვლილებებს. დიაქრონიული პროცესები სიტყვის ფორმირებაში მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აშკარაა მარტივიდან რთულისკენ სვლა სხვადასხვა ხერხებით, როგორებიცაა: ნულოვანი დერივაცია (ხერხ- / ხერხ-ი), სუფიქსური (თოვ- / თოვ-ლ-ი), პრეფიქსული (სარ- // სრ- / მუ-სრ-ი), რედუქლიკაცია (თავ- / თავ-თავ-ი) და მრავალი სხვა.

ენაში უკვე არსებული საბაზისო ძირის ფორმირება/ტრანსფორმაცია ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების მიზნით ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ისტორიულად (ან პრეისტორიულად) მოქმედი აფიქსები ენაში კვალს ტოვებენ როგორც სადერივაციო აფიქსები, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ კარგავენ ასეთ ფუნქციას და ქვაკვდებიან, რუდიმენტებად იქცევიან ენობრივ ქსოვილში (სისტემაში). ადრე გვქონდა შესაძლებლობა მიგვეთითებინა ისეთ სიტყვათსაწარმოებელ ინვენტარზე, როგორიცაა –მან (თათ-მან-ი, ქა-

ლა-მან-ი...), აგრეთვე – ბელა (შიში-ბელა, ყურ-ბელა, წურ-ბელა...). მათი მეშვეობით ისტორიულ ქართულში რთული სიტყვები ფორმირდებოდა. ის ეფუძნებოდა ერთმირიან სიტყვებს და (ენაში არსებული სიტყვების აგების მოდელებისა და სქემების მიხედვით) სიტყვაწარმოების ცოცხალ პროცესს წარმოგვიდგენდა, მაგრამ დასახელებულმა არაერთმა აფიქსმა დროთა განმავლობაში დაკარგა პროდუქტიულობა (შდრ. -აქა: ჭინჭარ-ი – ჭინჭრ-აქა...).

ჩვენი დაკვირვებით, კიდევ ერთ-ერთ ამგვარ შესაძლებლობად გამოსაყოფი ჩანს სალიტერატურო ქართულში ისტორიულად მოქმედი **-ემ** სუფიქსი, რომლის ფუნქცია ზედსართავ სახელთა (resp. მიმღეობათა) წარმოება უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. ხემ- აქედან უ-ხემ-ი და ხემ-ემ-ი „მქისე; უხასიათო; დაუმუშავებელი/მაგარი“ (შდრ. მად-: უ-მად-ურ-ი და მად-ლ-ი). **-ემ** წარმოების სხვა ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს: ბელ-ემ-ი „უსაქმური, ზანტი“; განსხვავებულია ომონიმური **ბელ-** ზმნის წარმომავლობა, შდრ. ბელ-ვ-ა „ხეთ კაფა“: დაბელვა, შებელილი (საბა) და ბელ-ემ-ი „ოთხად გაჭრილი, ნაოთხალი“ (შერჩეულ საყავრე მორს შუაზე გააპობდნენ, შემდეგ დაანაოთხლებდნენ, ნაოთხალს კიდევ ოთხად დაჭრიდნენ და ბელ-ემ-ს მიიღებდნენ); მურ-ემ-ი, შდრ. მურ-ი – მურ-ემ-ი / მურ-ემ-ა „გამურული, გაჭუჭყიანებული“; სიტყვა მრ-ემ-ი, რომელიც საბასთან განიმარტება, როგორც მ რ ე შ ი „წაბლის ფერ(ი), მოსისო ZA. (ოთხფ.) B. წაბლის ფერი“, სავარაუდოდ, ამავე მურ- ძირს შეიცავს, ოღონდ მოცემულ შემთხვევაში მის რედუცირებულ საფეხურს ასახავს – მურ-ემ- → მრ-ემ-; გამოყოფილი **ხენ-**, სავარაუდოდ, ზმნური ძირი სიტყვაში ხ ე ე ე შ ი „ავი, ბოროტი“; „წუნდადებული, მწირი; უნაყოფო“ (ხენეში მიწა – მწირი მიწა; ხენეში ხე – უნაყოფო ხე... „რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი“) დამოუკიდებლად ჯერჯერობით არ არის დამოწმებული, თუმცა სტრუქტურული ანალიზის ფარგლებში აქაც **-ემ**-ის სუფიქსად გამოყოფა სირთულეს არ წარმოადგენს... აქვე შევნიშნავთ, რომ ზმნური **-ემ** ფუძედრეკად ფორმებში (ხენ-ემ-/ხენ-იმ...) განსხვავებული წარმომავლობისაა და მისი კვალიფიკაციის საკითხი ცალკე უნდა იქნეს განხილული.

დაბოლოს, არ გამოვრიცხავთ ქართულში გამოყოფილი **-ემ** სუფიქსის საერთოქართველურ (ფუძეენურ) წარმომავლობასაც, ვინაიდან მონათესავე დალესტნურ ენებში ამავე შედგენილობის (მაგ-

რამ ზოგან განსხვავებული სტრუქტურის) ზედსართაული აფიქსები გამოვლინდა, შდრ. ლაკური: გუჟ-სსა „მლიერი“, შად-სსა „მხიარული“, ჩანნა-სსა „ნათელი“..., დარგული: ბ-არხ-სი „სწორი“, ქეფ-სი „მთვრალი“, დირყ-სი „ბრტყელი“... თითქოს უფრო მეტია მატერიალური ერთობა დიდოურ ენათა სათანადო აფიქსებთან, შდრ.: ჰინ. რედ-ეს „მახვილი“; ჰინ ბეყ-ეს „მწიფე“, ჰინ. კვეტ-ეს „მარჯვენა“, ჰინ. ბუყყ-ეს „სწორი“; შდრ. ჰინ. ბეხერ-იშ „მოხარული“, ჰინ. აქეთლ-იშ „ჭკვიანი“..., ამ უკანასკნელს ეხმიანება წ.-თუმ. ზორაიშ „მლიერ“ ტიპის ფორმები ნახური ენებიდან.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

შუქია აფრიდონიძე – „ჩვენი ენა ქართული“

შუქია აფრიდონიძის ნაშრომს – „ჩვენი ენა ქართული“ – საფუძვლად დაედო ხუთწუთიანი სატელევიზიო გადაცემები (1998-99 წლებში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე), რომელთაც სათაურად წარემძღვარა გიორგი ლეონიძის ერთი ლექსის სტრიქონი – „ჩვენი ენა ქართული“. გადაცემის ავტორიცა და პირველი წამყვანიც შუქია აფრიდონიძე გახლდათ. მსმენელთა თხოვნით, გადაწყდა ტელესაუბრების ცალკე წიგნად გამოცემა.

ნაშრომი მოიცავს 65 საკითხს. ამათგან დაახლოებით ნახევარი თავად შუქია აფრიდონიძის ნაკვლევიცა, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ წიგნსა და ბიულეტენებში, აგრეთვე კრებულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ ან ზოგიერთ სხვა ავტორიტეტულ გამოცემაში გამოქვეყნებული წერილების გადამუშავებულ ვარიანტებს.

წიგნი ძალზე მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც: საკითხებს ახლავს კომპლექსური (ორთოგრაფიულ-გრამატიკული და სტილისტიკური) სავარჯიშოები. ნაშრომს ერთვის სწორი პასუხები და ძირითადი ლიტერატურის სია.

წიგნს – „ჩვენი ენა ქართული“ – მთელი საქართველო იცნობს.